

KFW



PEM CONSULT



საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია



სამართლის, რამონის ბანისთვის და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პროექტი დაფინანსებულია KfW-სა და საქართველოს მთავრობის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტს ახორციელებენ წამყვანი კომპანიები, PEM Consult და ERM

ნავაგსაყრელის ოპერატორები

ნარჩენების მართვის ახალი სისტემა საქართველოში



ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვასა და განხორციელებაში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წამყვანი როლი და პასუხისმგებლობა გააჩნია. სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი მ.პ.ს. მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, სამომავლოდ, პასუხისმგებელი გახდება, საქართველოს მასშტაბით 8 ახალი რეგიონული ნავაგსაყრელის მართვაზე, რომლებიც არსებულ ძველ მუნიციპალურ ნავაგსაყრელებს ეტაპობრივად სრულად ჩაანაცვლებენ. ჩვენ ვაგვსაუბრეთ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ქ-ნ მაია ცქეტიძევილს, სამინისტროს ხედვებისა და მოსაზრებების შესახებ ნარჩენების მართვის ახალი სისტემაზე საქართველოში.

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, რეგიონებში მოქმედი ნავაგსაყრელები ეტაპობრივად დაიხურება და 8 (აჭარის ჩათვლით) ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნავაგსაყრელი აშენდება. შედეგად რა ბენეფიტები იქნება საზოგადოებისთვის? აღნიშნული პროექტები მოსახლეობისთვის ეკოლოგიური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. რაც მთავარია, შემცირდება გარემოზე მავნე ზემოქმედება. ამას გარდა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და რეგიონული ნავაგსაყრელების მოწყობით, ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემა ჩამოყალიბდება. რა როლი აქვს სამინისტროს მყარი ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბებაში და რა სტრატეგიული პრიორიტეტებია დასახული ამ კუთხით მომდევნო წლებში? მყარი ნარჩენების ცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბებასა და სწორ მართვას ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. არასახიფათო ნარჩენების რეგიონული ნავაგსაყრელების მოწყობა, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო არსებული ნავაგსაყრელების მართვა და მათი ეტაპობრივი დახურვა, ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობა და მართვა მშს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ კომპეტენციაა, ეს კომპანია კი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართავს. სამომავლოდ, 2023 წლისთვის, ქვეყნის მასშტაბით არსებული 56 მუნიციპალური ნავაგსაყრელის 8 საერთაშორისო

სტანდარტების ნავაგსაყრელით ჩაანაცვლება დაგეგმილი. ამასთანავე, ჩამოყალიბდება ნარჩენების მართვის ახალი ქსელური სისტემა. საქართველოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია ახალი ნავაგსაყრელების მართვის ხარისხი. ამ ობიექტებს ოპერირებას საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია გაუწევს. ამ მიმართულებით მაღალი სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერის მიზნით, გვემავს თუ არა სამინისტრო კომპანიის ფინანსურ მხარდაჭერას? - საქართველოს მასშტაბით არსებული ნავაგსაყრელების ძირითადი ნაწილი უკონტროლო იყო, რაც გარემოზე მავნე ზემოქმედებას იწვევდა. 2013 წლიდან, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ, სამინისტროს დაფინანსებით, არაერთი პროექტი განახორციელა. კომპანია რეგიონების მასშტაბით, თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა, 54 მუნიციპალურ ნავაგსაყრელს მართავს. მათ შორის 23 უკვე სტანდარტების შესაბამისად დაიხურა. არსებულ 31 ნავაგსაყრელზე კეთილმოწყობის სამუშაო ჩატარდა და ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდა, მოეწყო ნარჩენების გადამტვირთი 5 სადგური. პარალელურად, უცხოური საფინანსო ინსტიტუტები და დონორი ორგანიზაციები განაგრძობენ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის მხარდაჭერას. ასევე, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიები ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც კომპანიასა და მუნიციპალიტეტებს ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტების დანერგვაში ეხმარება. ამასთან ერთად, სამინისტრომ და საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ

ნარჩენების მართვის სფეროში არაერთი საკანონმდებლო აქტი შეიმუშავეს. აქედან გამომდინარე, სამინისტრო კომპანიის ფინანსურ მხარდაჭერას მომავალშიც განაგრძობს, რათა ქვეყანაში ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტების დანერგვას შეუწყოს ხელი. ნარჩენების მართვის სფეროში გამართული ფინანსური სისტემის დასანერგად რეგიონულ ნავაგსაყრელზე ნარჩენების განთავსებაში, მუნიციპალიტეტებს ე.წ. ჭიშკრის გადასახადის (Gate fee) გადახდა მოუწევთ. დღეს ეს გადასახადი ცენტრალური ბიუჯეტიდან სუბსიდირდება. იგეგმება თუ არა ამ მიდგომის შეცვლა? - ჩვენი მიზანია ნარჩენების მართვის მაქსიმალურად გამართული სისტემის დანერგვა, რაც ქვეყანაში ამ კუთხით მომსახურების არეალს გაზრდის და ის მოქალაქეებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება. პარალელურად საჭიროა გამართული სატარიფო სისტემის შემუშავება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების წილს შეამცირებს და „ნარჩენების წარმოქმნილი იხდის“ პრინციპის დანერგვას ხელს შეუწყობს. ამ სისტემის ამოქმედება მუნიციპალიტეტების მხრიდან ე.წ. ჭიშკრის გადასახადის (Gate fee) გადახდასაც მოიცავს. 2019 წლიდან ქვეყანაში ნარჩენების სეპარირება დაიწყება, ასევე უნდა დაინერგოს მწარმოებელთა გაფართოებული პასუხისმგებლობის პრინციპი, რაც თავის მხრივ, ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს ნარჩენების გადამუშავებაში (რეციკლირებაში) მეტი ინვესტიციის ჩადების სტიმულს მისცემს.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები

მთავარი თემა მუნიციპალური ნარჩენების მართვის განხორციელების პროცესში 2018 დან და შემდეგ პე

მომსახურების გაუმჯობესება, ნარჩენების რაოდენობის შემცირება და მოქალაქეთა დარწმუნება რეგულარულად

ეს არის იმ საკითხთა მოკლე ჩამონათვალი, რაზეც ნარჩენების მართვის დაგეგმვის ტრენინგებში მონაწილე მუნიციპალიტეტებმა მომავალში ყურადღება უნდა გაამახვილონ. ტრენინგების საწყის ეტაპზე მათთვის მარტივი არ იყო, მყისიერად გაეაზრებინათ და აღენერათ ნარჩენების მართვის სრული მოცულობა საკუთარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ეტაპობრივად, მათ მეტი წარმოდგენა შეექმნათ აღნიშნულ თემაზე და წარმოადგინეს საკუთარი ხედვა და იდეები, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდნენ თითოეულ საკითხთან დაკავშირებულ გამოწვევას.

- 1. მომსახურების გაუმჯობესება**
აღნიშნული მოიცავს დამატებითი კონტენინგების საჭიროებას, რაც აუცილებელია მომსახურების არეალის გასაფართოვებლად. კერძოდ, ცენტრიდან დაშორებულ დასახლებებში ნარჩენების შეგროვებისა და მომავალში სეპარირების დასაწყებად. სეპარირებულ შეგროვებაზე საუბრისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს ქალაქსა და პლასტმასზე.
- 2. ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენის შემცირება**
გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებმა გააანალიზებინათ, რომ საჭიროა ნაგავსაყრელზე განსათავსებლად

- მიტანილი ნარჩენის(რისთვისაც მათ თანხის გადახდა მოუწევთ) რაოდენობის შემცირება. რამდენიმე მუნიციპალიტეტის განსაკუთრებული ყურადღება მწვანე ნარჩენის განსაკუთრებული და დამუშავების იდეამ მიიპყრო. რაც ითვალისწინებს როგორც ცენტრალიზებული კომპოსტირების დანერგვას, ასევე მსგავსი პრაქტიკისა და სეპარირებული შეგროვების წახალისებას იმ დასახლებებში, სადაც რეგულარული შეგროვების მომსახურება რთულია.
- 3. მოსახლეობის დარწმუნება, რომ აუცილებელია ნარჩენების მართვის მომსახურების გადახდა**
მუნიციპალიტეტებისათვის ერთ-ერთი

უდიდესი გამოწვევა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ფინანსური პასუხისმგებლობაა, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აკისრია; აღნიშნული პასუხისმგებლობის გარეშე კი საჭირო მომსახურების უზრუნველყოფა და ნარჩენების მართვის სათანადო სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია. მომხმარებლების მხრიდან, ნარჩენების მართვის სერვისის საფასურის გადახდის გარდა განხილვება სხვადასხვა ვარიანტი, მაგალითად, ტურისტების ჩართულობა სუფთა მუნიციპალური გარემოს შენარჩუნებაში, რაც მათზე ხარჯების დაკისრებას გულისხმობს.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების მომზადების დასკვნითი ტრენინგი


2017 წლის 13-14 სექტემბერს, ქუთაისში, პროექტში ჩართული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების დასკვნითი ტრენინგი გაიმართა.. ბოლო ტრენინგ-სემინარზე პროექტის უცხოელმა ექსპერტებმა მიღწეული პროგრესი განიხილეს, სადაც გამოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტების ნაწილმა გეგმების სამუშაო ვერსიაზე მუშაობა დაასრულა, თუმცა, გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი, რაც ტარიფების განსაზღვრასთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა საზოგადოებასთან ურთიერთობასა და

კომუნიკაციაზე, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეწყობს მოსახლეობის დარწმუნებას, აქტიურად დაუჭირონ მხარი ნარჩენების მართვის ახალ სისტემას და შეიტანონ წვლილი მის განვითარებაში. დასკვნითი ტრენინგის შემდეგ, საბოლოო განხილვებისა და კონსულტაციების მიზნით, მუნიციპალიტეტების უმრავლესობამ ექსპერტებს ნარჩენების მართვის გეგმების სამუშაო ვერსია წარუდგინა.. 2017 წლის ბოლოს, ნარჩენების მართვის გეგმის საბოლოო ვარიანტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 16-დან 13-მა მუნიციპალიტეტმა წარუდგინა.




"ტრენინგებში ჩემი მონაწილეობას ძალზე დადებითად ვაფასებ. პირველივე სესიის შემდეგ ცხადი გახდა ისეთი დეტალები, რომელიც სასარგებლოა არა მხოლოდ აღნიშნული გეგმისათვის, არამედ ზოგადად საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმირებისა და PR-ის კუთხით. უკვე შეგვიძლია ვადავდეთ კონკრეტული ნაბიჯები სამოქმედო გეგმის შემდგომი განხორციელების მიზნით, რისი შესრულებაც რაც შეიძლება სწრაფად და ზედმიწევნით ვგსურს."

ქეთევან მაჭარაშვილი, საჩხერე



"ძალიან მნიშვნელოვანი ტრენინგი იყო. შევისწავლეთ ახალი საკითხები და მიღვამები, თუ როგორ უნდა გავუმჯობავდეთ ნარჩენების მართვის კუთხით არსებულ სამომავლო გამოწვევებს. ვინაიდან ჩვენი ნამუშევარი წერილობით არის წარმოდგენილი, უცხოელ ექსპერტებს შეუძლიათ შეგვისწორონ და მოგვანოლონ კომენტარები, რის შედეგადაც გეგმის საბოლოო ვარიანტს მივიღებთ. აღნიშნული გეგმა ბოლოს სუფთა ქალაქამდე და სუფთა სოფლამდე მივიყვანს. ჩვენი მიზანმიმართულად ეს არის."

იური ლარსულიანი, ცაგერო




"...ამჟამად დასუფთავება ხდება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან ერთად. გეგმის განხორციელების შემთხვევაში, ამაღლდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერება და სამტრედია გახდება ერთ-ერთი ყველაზე სუფთა ქალაქი და მუნიციპალიტეტი."

ლიკა დარჯანია, სამტრედია

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების მომზადების ტრენინგი - ათთვიანი ინტენსიური სამუშაოების მოკლე მიმოხილვა
საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი თითოეულ მუნიციპალიტეტს ავალდებულებს 2017 წელს შეიმუშაოს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც 2018-2022 წ. პერიოდს მოიცავს. შესაბამისად, „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში, 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის სექტემბრამდე, პროექტის ექსპერტებმა 8 სასწავლო სესია ჩაატარეს. გარდა ამისა, ნარჩენების მართვის გეგმებთან დაკავშირებით, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში 25-ზე მეტი საკონსულტაციო ვიზიტი შედგა. ბოლო სასწავლო სესიის შემდეგ, აღნიშნული გეგმების დასრულების მიზნით, მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა, უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდა.

გეგმები - შედეგები, გამოწვევები და შესაძლებლობები რიოდში.

ნარჩენების მართვის ხარჯები - სახელმწიფო სუბსიდიები თუ ცვლილების წახალისება?



2022 წლისთვის - ყველა მუნიციპალური ნაგავსაყრელი დაიხურება



სამი მთავარი საკითხი მუნიციპალიტეტებისთვის, ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის ამოქმედების შემდეგ

1. ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ამაჟამად მოქმედი ყველა მუნიციპალური ნაგავსაყრელი დაიხურება,
2. ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებული იქნება, ნარჩენი გადამტვირთვით სადგურამდე ან პირდაპირ ახალ რეგიონულ ნაგავსაყრელამდე მიიტანოს.
3. ახლო მომავალში, 2020 წლის შემდეგ, ყველა მუნიციპალიტეტს მოუწევს, ნარჩენების განთავსების ხარჯების დასაფარად, „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ თითოეულ ტონაზე ჭიშკრის გადასახადი გადაუხადოს.

■ დახურული მუნიციპალური ნაგავსაყრელები
 ■ გადამტვირთავი სადგურები
 ● ქუთაისთან ახლოს მდებარე ახალი რეგიონული ნაგავსაყრელი

ახალი რეგიონული ნაგავსაყრელი - ვინ რას აკეთებს?

მშენებლობა და ოპერირება

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია / რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო



პროექტის განმახორციელებელია საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია. 2013 წლიდან, მას მფლობელობაში გადაეცა 54 არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელი. სამომავლოდ, დაგეგმილია 8-10 ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელის მონაცობა და მათი მართვა, აგრეთვე ყველა მუნიციპალური ნაგავსაყრელის დახურვა. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ნაგავსაყრელი არის პირველი რეგიონული ნაგავსაყრელი, რომელიც უნდა ამშენდეს.

- პროექტის განმახორციელებელი
- კონტრაქტის გაფორმება საკონსულტაციო კომპანიებთან
- კონტრაქტის გაფორმება სამშენებლო კომპანიებთან
- სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა
- მშენებარე ობიექტის საბოლოო დამტკიცება და მიღება
- ახალი ნაგავსაყრელის მფლობელი და ოპერატორი

ტექნიკური მხარდაჭერა

აღმასრულებელი კონსულტანტი



საკონსულტაციო კომპანია ERM (ბუნებრივი რესურსების მართვა) ასრულებს საკონსულტაციო მომსახურებას ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის, გადამტვირთი სადგურებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაგეგმვის, ტენდერების უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის კუთხით.

- სანიტარული ნაგავსაყრელის დაპროექტება
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) მომზადება
- სატენდერო დოკუმენტების მომზადება სამშენებლო სამუშაოებისა და აღჭურვილობისთვის
- სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა

დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტი



აღნიშნული კომპონენტი ხორციელდება გერმანული საკონსულტაციო კომპანია PEM Consult-ის მიერ, (INTECUS GmbH და GAMMA Consulting-თან ერთად), რომელიც ასრულებს საკონსულტაციო მომსახურებას და ატარებს ტრენინგებს, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ორგანიზაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

- ორგანიზაციული მართვის მხარდაჭერა და გაუმჯობესება
- ფინანსური მართვისა და ტექნიკური კომპეტენციების მხარდაჭერა და გაუმჯობესება
- PR-ის, კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით, შესაძლებლობების გაძლიერება.

დაფინანსება

გერმანია - საქართველოს თანამშრომლობა, KfW



გერმანია - საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, KfW (გერმანიის განვითარების ბანკი) უზრუნველყოფს საქართველოსთვის სესხის გამოყოფას, 20 მილიონი ევროს ოდენობით

ევროკავშირის სამეზობლო ინვესტირების ფონდი



სამეზობლო ინვესტირების ფონდის ფარგლებში, ევროკავშირი გამოყოფს გრანტს, 2 მილიონი ევროს ოდენობით, პროექტის ტექნიკური მხარდაჭერის დაფინანსების მიზნით.

საქართველოს მთავრობა



პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 26 მილიონ ევროს, საიდანაც 4 მილიონი ევრო არის საქართველოს მთავრობის კონტრიბუცია

ბენეფიციარები

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების 16 მუნიციპალიტეტი - დაახლოებით, 700 000 მოქალაქე

ქუთაისი, ამბროლაური, ლენტეხი, ონი, საჩხერე, სამტრედიო, ჭიათურა, თერჯოლა, წყალტუბო, ზესტაფონი, ცაგერი, ხარაგაული, ხონი, ბაღდათი, ვანი, ტყიბული



პროექტი დაფინანსებულია KfW-სა და საქართველოს მთავრობის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტს ახორციელებენ წამყვანი კომპანიები, PEM Consult და ERM

ნაგავსაყრელის ოპერატორები

„დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები არ ასახავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას“